№ 20.

წელიწადი პირველი

ივერია

14 ივლისი 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოკვის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.
ერთ ფურცელ, გაგზავნით და გუშაგზენელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულ ენაზე.

სარჩევი: I. ომის ამბები.—II. საქართველოს მატიანე.—III. საპოლიტიკო მიმოხილვა—IV. ოსმალოს საქართველო.—V. მგზავრის წერილები.—VI. გაზეთებიდან ამოგრეული ამბები.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის ივლისიდან პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ექვსის თვისა ოთხი მანეთია.

ომის ამბები.

ლენერლ ალსაზოვს მტერი მოკვეს იქით გაუდევნია და გალიზგის იქითა ნაპირას დაბანაკებულა, გუმის მაღლობზედ. ომში ჩვენი ერთი კაცია მკვდარი და სამი დაჭრილი.

— 1 მკათათვეს პოლკოვნიკი ყაზაბეგი მუსა-ესტატედან ჩურუქსუსკენ გასულა თარეშად. ოსმალთა დარაჯებს ჩურუქსუს იქით დაუწყვიათ ტყეში, სადაც ოსმალთა ჯარი გამოჩენილა თავისის არტილერიით სამხედრო ხომალდის მფარველობის ქვეშ. მტერს ვერ გაუბედნია მდინარის აქეთა ნაპირას გადმოსვლა, და თოფების და ზარბაზნების სროლის შემდეგ ჩვენი გუნდი ისევ ბანაკში დაბრუნებულა უზარალოდ.

— 3 მკათათვეს ლენერლს ალსაზოვს თითქმის მთელი კოდორის მაზრა გადულახავს და მდ. ოდიკარამდე რომ მისულა უკანკე დაბრუნებულა და ამ ადგილებიდან სრულებით გაუდევნია მტერი. ჩვენი ერთი მკვდარია და ხუთი დაჭრილი. ოჩემჩირში დიდი მოძრაობაა თურმე ოსმალთა ხომალდებისა; ოთხი ასი ხომალდი მოსულა თურმე კიდეც.

— 9 მკათათვეს ჩვენს ჯარს დაუწერია გამაგრებული სოფელი მერგულეკი. მტერს 48 მკვდარი დარჩენია. გარდა ამისა ჩვენებს ბევრი იარაღი, ტყვენი და სხვა გვარი ნიგთეული დარჩენია. ჩვენი ორი მკვდარია და დაჭრილთა შორის ერთი მილიციის ოფიცერი და ორი ჯარის კაცი.

— ლენერალ ლორის მელიქოვის მხედრობა ისევ ქურუქდარში დგას.

მუსთარ-თაშის ჯარი (40 ბატალიონი) ალაჯის მთაზედ არის დაბანაკებული, ვიზანკევისა და ქურ-ხანის შუა.

— არტანის გუნდისათვის ჯარი მიუმატებიათ.

— ოსმალთა ჯარი ეფრატის სეობაში (ე. ი. ბაიაზეთისკენ) მატულობს თურმე. ეს ადგილი სრულებით აუოხრებიათ თურმე ოსმალებს. ქრისტიანები, რომელთაც ვერ მოუსწვრიათ ჩვენკენ გადმოსვლა, სრულებით ამოუხოცია ოსმალებს.

— რუსებს უზანლიში (ბალკანის მთის იქით) აუღია და ფილიპოპოლისკენ გასულან.

საქართველოს მატიანე

„ივერიის“ კორრესპონდენციები.

რაჭიდან. გულითად მადლობას უძღვნიან რაჭველები და მათ რიცხვში მეც, როგორც რაჭველი უ. გოგოლეთელს, რომელმაც დაბეჭდა თავისი სტატიები „დროების“ წარეანდელს №-19, 20, 55 და 56 №-ში. მისმა ცოცხალმა და ბუნიერმა წერამ გაალვიძა მსწრაფლად ჩვენი უმაწვილები, აქამომდე მართლაც რომ ლეტარგიას მიცემულნი. რამოდენმა სანმა გაიარა მას აქეთ, რაც ხმას ალარ იღებენ არც ნიჭიერი „ჩხრეკია რაჭვე-

ლი“, არც „ძრამაგელი“, არც სხვები. გოგოლეთელის სიტყვა მოხვდათ მკვახეთ გულს არა მარტო ჩვენს მწერლებს—ლიტერატორებს; იმან დაუთუთქა მეტისმეტად გული და დააკრეჭია სიბრაზისგან კბილები აქაურს ბოზოლაებსაც. მეტას-მეტად ეწყინათ უფ. ჯაყელის ქება მის ამხანაგებს მასთან ერთად სამსახურში მყოფთა, მაგრამ აქ უფ. გოგოლეთელის მეტის-მეტს ერთგულებას ის კელარ მოუსაზრავს, რომ იდეალური პატიოსნება—ძალიან გასაჭიმავი საგანია; ამიტომ მოპირდაპირეებს, თუ კი ისურვებენ, შეუძლიანთ საკმაოდ გააქარწყლონ ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოაქვს კაცს უფ. ჯაყელის ღირსებაების აწერიდამ. ეს კიდევ არაფერი, საქმე ის არი, რომ ტყუილსაც შესწამებენ. ათასი მანეთი, რომ ხვანჭკარის ბანკს ჰქონოდა, ეხლა ექვსი ათასი მანეთის აღებ-მიცემობა ექმნებოდა. არც უფ. ჯაყელს, არც სხვას ვისმეს ე ს ფ უ ლ ი ამხანაგობისათვის არ შეუწირავს. რაოდენათაც ჩვენ ვიცით, ამხანაგობამ დაიწყო თვისი მოქმედება შემოტანილის წილის ფულით, რომლის რაოდენობამ მიაწია სულ ცამეტ თუმნამდის (130 მან.) შარშან 13 ივნისს და წრეულს 1877 წლის 2-ს ივნისს სააღებ-მიცემო თავნი მიაწევს 4,000 მანეთამდის. ამ ფულების რიცხვში ურევია 16 მაისს აღებული ვალად 1000 მან. ისიც უფ. ნანუკოვისაგან და არა ჯაყელისაგან და ცოტა ოდენი ამხანაგთა და გარეშე პირთაგან შემოტანილი სასარგებლოდ ფული (ვკლადი). ამით ეს მინდოდა მეთქვა, რომ უფ. გოგოლეთელს ყოველის მხრით გამოუძიებია და ამ მხრით არ ჰქონია, როგორც ეტყობა, რაჭის ცხოვრება გამოკვლეული. ვერ წარმოგვიდგენია, რატომ არ ჰსურვებია გაეგო და შეეტყო ამ ამხანაგობის ვითარებაც, მით უმეტეს რომ თითონაც დიდს მნიშვნელობას აძლევს ამ ამხანაგობის რაჭაში დაარსებას; ურჩევს ყველას რომ ამ ბანკს ადევნონ ყური, თვითონ კი არამც თუ უდევნებია, ყურიც არ უთხოვებია. სხვას კი ურჩევს.....

რაჭველებმა ბევრჯელ გამოსთქვეს, რომ ჩვენ მაგალითს გამლევთ უპირატეს მნიშვნელობასაო. ბარაქიანის სიტყვის მსროლელები ბევრი ჰყავსთ, რასაკვირველია, საქმეს, მცოდნენიც, მაგრამ უკანასკნელნი თუ თავის ცოდნას საქმეში არ გამოიყენებენ ხალხის პატივს ვერ მოიპოვებენ. მეტად მომწონს და მგონია ბევრს სხვა რაჭველსაც მოეწონება, ის ადგილი უფ გოგოლეთელის კორრესპონდენციებისა, სადაც ის გულწრფელობით და სამართლიანად ამხელს აქაურ ადმინისტრაციის უმოძრაობას, უქმობას. რაჭველები მართლაც ხშირათ მაკვირვებენ მე—ზოგიერთ საქმეში, მაგ. დღიურის საზღოს მოპოებაში, ვისიმე პირის ბრძანების მონდობილების შესრულების დროს, და მუშაობაში ისინი იჩენენ შესანიშნავ მხნეობას და სისწრაფეს; ზოგჯერ კი ღმერთმა დაიფაროს, ისინი წარმოგვიდგენენ სრულიად წინააღმდეგს ზემო ნათქვამისას: იმათ ეკარგებათ, არამც თუ მხნეობა, არამც თუ გულგრილად ეკიდებიან საქმეს, არამედ სრულ იდიოტებათ მოგვაჩვენებენ თავს ხოლმე, მაგალითად, საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღების დროს. რაც გინდა კარგი საზოგადო საქმე დაიწყოს კაცმა, ყველა ერთბამათ მოგყვება, მაგრამ ნუ მოელით, თითონ მოიფიქრონ, ან სხვის მოფიქრებული და მოგონილი გაარჩიონ, დაუკვირდენ, შეისწავლონ, ან, ერთის სიტყვით, თავისი აზრი გაურიონ. ან სულ ერთბამათ გეტყვიან უარს და შენს წინადადებას არ მიიღებენ; ეს ნიშნავს იმას, რომ სანდო კაცად არ გიცნეს; ან თუ არა და, თუ სანდო ხარ, როგორც ზემოთ ვთქვი, პირ-და-პირ მოგენდობიან და რასაც ურჩევ მოგყვებიან. სანდო მოთავენი ხალხისა ჩვენ თითქმის არ გვეგულებიან. სად ვეძიოთ ამის მიზეზი? ჩემის აზრით ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩვენის რაჭველების ეკონომიურ მდგომარეობაში, მის მიმართულებაში. ჩვენს რაჭველს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი, ფიქრი მარტო თავისთავზედ; თუ რაჭველმა თავისი თავი და თავისი ოჯახის მოთხოვნილება დააკმაყოფილა, თვითონ გაძღა და ცოლ-შვილი გაძღო,—იგი სხვა რისამე ფიქრისათვის თავს აღარ იტკენს. არის სადმე უმაღლესი რამ წინ წასვლისათვის, საზოგადობრივის და ზნეობითის წარმატებისათვის, იგი იმას აღარ დაეძებს. მაგრამ რაჭველები განა ამაში არიან კი გასამტყუნარნი? განა ამ უმაღლესის საგანთათვის და მათ წარმოდგენისათვისა საჭირო არ არის უფრო მაღალი სწავლა, გონების გახსნილობა, კაცის ცხოვრების ცოდნა და სხვანი? მეტყვიან სასწავლებლები რას აკეთებენო? ამას მე თვითონაც ვკითხულობ? რისთვის უმრავლებენ საწყალს გლეხს კაცს, უიმისოთაც ურიცხვს გადასახადს, თუ უკეთესის მეტოდის და პროგრამმის შემოღებით, უკეთესის მასწავლებლების მოწვევითა არ დააყენებენ ხალხის სასწავლებლებს უფრო მაღალ ხარისხზედ კიდრე, ეხლა არი? „ჩხრეკის რაჭველმა“

დროების მე 42 №-ში სხვათა შორის გამოსთქვა თავისი აზრი შკოლების შესახებაც ძნელია მას არ ეთანხმოს ის, ვინც კარგად იცის აქაურის სასწავლებლების ვითარება. მეც მსსავით მინდა ვიკითხო: კისი ბრალია, რომ შკოლებში წარმატებას ვერა ვხედავთ, მამების თუ მასწავლებლების? ამის პასუხად ამბობს „ჩხრეკია რაჭველი“ ამბობს, მამები აბრალებენ მასწავლებსაო, მასწავლებლები კი მამებსაო და თვითონ კი ამართლებს მამებსაო.

მის შესახებ, რომ საზოგადოთ სწავლა რაჭის სასწავლებლებში არ კარგა უფ. ჩხეკია რაჭველი მართალს ამბობს, მაგრამ რომ მიზეზი მარტო მასწავლებლის უკარგისობა იყოს, არა მწამს. თამამად შემიძლიან ვჭსთქვა, რომ შკოლის ავ-კარგიანობას სხვა უმთავრესი მიზეზი აქვს. რა ჭქნან მამებმა თუ ბაშვებს კარგი მასწავლებელი არა ჭყავთ? მაგრამ იმავე დროს რა ჭქნას მასწავლებელმაც, თუ ის არის მოკლებული ყოველივეს, რაც შეადგენს უპირველესს საჭიროებას კაცისას. მე თვითონ შეკვესწარი ერთს მასწავლებელს რაჭაში, რომელიც ერთგულად მისდევს თავის საქმეს და კიდეც კარგად ესმის, როცა იგი სჩიოდა მიროვის პოსრედნიკთან ივნერის „ტრეტისა“ ჯამაგირი არ მოუკრეფიათო, უბძანეთ დამაგმაყოფილონო. ჩემის აზრით, ვინც დაარსა შკოლები და კისრად იდო მათზედ მზრუნველობა იმათ უნდა წარმოედგინათ ნათლად, რომ 200 ანუ 300 კვამლს გლესს, უიმისოთაც ყოველგვარის გადასასადით დატვირთულს, არ შეეძლო დაკმაყოფილებინა უკიდურესი საჭიროება, თუ გინდ ერთის მასწავლებლისა მთავრობის დაუსმარებლად ნივთიერების მხრითა. მასწავლებლისათვის რომ რიგიანი ჯამაგირი იყოს დანიშნული, რიგიანად ნასწავლებიც დადგებიან მასწავლებლებად და სწავლაც სხვა გვარი იქნება თავისის შედეგებით, სალხსაც ასე ადარ გაუტყდებოდა გული და არ დაკარგებოდა სასოება, როგორც ეხლა აქვს დაკარგული,—არც ის უმაწვილ კაცნი რაჭველნი გაგვიდგებოდნენ ასე შორს, რომლებზედაც სწერდა უფ. გოგოლეთელი. ვინ შესწამებს ჩვენს განათლებულს რაჭველებს, რომ თუ იგივე ჯამაგირები ექნებათ, თიანეთში, რუსეთში და სხვაგან სამსახურს, თავის სამშობლოში არ ერჩიოთ სამსახური? ნუ თუ ეს მოუხერხებელია, ნუ თუ ამ საგანს არ შემოვლება არას მხრით?

ეი აზრი გამოთქმული ჩემგან რაჭველებთან, თუ მართებლობასთან, მასზედ თუ რა ღონე უნდა ისმაროს რომ სასწავლებელთა განკარგულება შესაძლო იყოს: 1) სოფლის შკოლის მასწავლებელს სამსახური სახელმწიფო სამსახურში უნდა ჩაეთვალოს ისე, როგორც ქალაქის დაწყებითის შკოლის მასწავლებელთ ეთვლებათ; 2) სოფლის შკოლის მასწავლებელთ უნდა დაუნიშნონ ჯამაგირი თვეობით ხაზინიდამ, იმდენი რომ უმთავრესი საჭიროება მაინც დააკმაყოფილოს. თუ ეს ძნელად ასასრულებელია, ეს-მაინც-ვიშუამდგომლოთ, რომ საზოგადო რიცხვი სასწავლებლებისა შემცირდეს: ისა ჭსჯობია ერთი იყოს და კარგი, ვიდრე ათი და უკარგი. რაჭას, მაგ., ეყოფა სამი ანუ ოთხი, თუ ადგილი მათის დაარსებისა იქნა რიგიანად ამორჩეული. ის გარდასასადი, რომელსაც ესლა ისდიან და რომლითაც ბევრჯერ სარგებლობენ მამასახლისები, მოგრეოდეს უეზდის უფროსის მიერ ერთხელვე გამოანგარიშებულის ზომით *) ეს ფული იგზავნებოდეს ხაზინაში თავნის შესადგენად ზემო მოყვანილის საქმისათვის და შემდგომ შტატების დამტკიცებისა მიეცეს „კრედიტი“ თითოულს სასწავლებელს, იმ ზომით რამდენიც იქნება შკოლისათვის საჭირო და წინათვე გადაწყვეტილი. სწავლის საქმე (პროგრამმა) ან ის, თუ ორ კლასიანი ეჯობებს, თუ უფრო სხვა ნაირი სასწავლებელი,—ეს იმისთანა საგანია, რომელიც უნდა შემუშავდეს პედაგოგებისაგან, და ყოველ შემთხვევაში კორრესპონდენციაში ვრცლად მასზედ სჯა იქონიოს, ანუ გამოსთქვას კაცმა, შეუძლებელია. ყოველს ამაზედ თუ დავითანხმეთ მთავრობა, მაშინ მასწავლებელს ჯამაგირი შეიძლება დანიშნოს 300—600 მანეთამდე. სახლები სასწავლებლისთვის რაჭველებს მშვენიერები აქვთ; შკოლის „სტორონა“ მასწავლებლის მოსამსახურეთაც გამოდგება ასე, რომ ამითი და ნივთიერთაც მასწავლებელი იქნება დაკმაყოფილებული. ეი მაშინ ჩვენ მოგვმართვენ საკმოდ, და ბევრი კარგათაც, მომზადებული უმაწვილი კაცები. მათში არჩევანი შეიძლება, მაშასადამე მასწავლებლები სულ სხვა გვარი გვეყოლებიან და სწავლაც კარგათ წავა, ნამოფი ექნება. გლეხსაც ეშველება საოჯახოდ. ამათ მოესპობათ ჩივილის მიზეზი. უმეტესის სიდინით და გულმტკივნეულობით გლეხი ხელს მოჭიდებს შკოლის

*) ბატონყმეულის კორრესპონდენტს ამაში ვერ გეთანხმებით: სწავლა და სწავლის მოწყობა, სიფულად მაინც, ოვით-მმართველობის საგანია. ბოლოსის გარეგა ამაში თუ არ ვნებს, სარეველობის არ მოიტანს.

საქმეს. ეხლანდელი შემაგიწრობელი გადასასვლელი, მაშინ საჭიროებისა მებრ კიდეც რომ გადიდდეს. მაინც ისე არ შეაწუხებს, მისთვის რომ ნამოიოს დაინასვენ.

გლეხებისგან ჩაგილი სწავლის დაგარდნაზე მარტო ჩვენში კი არ არი. ჩაგილი ისმის ოკეანის მხრით, აი რასა სწერს ვილაც უცნობი დროების მე 41 № შა ტარა წლის განმავლობაში შეიტყო სალხმა კარგათ ნამოიოფი ახალი სასამართლოებისა; უეჭრა მოთმინებით შკოლის საქმეს თითქმის ექვსი წელი. თავის მხრით არა დაუზოგავს რა შკოლების საკეთილდღეოთ, მაგრამ ამ შკოლების ნამოიოფი არასად სჩანს. ხალხს გაუგრილდა გული შკოლებზე. ზოგიერთ ადგილს მოთმინებიდამ გამოსულმა საზოგადოებამ შეადგინა კიდეც განჩინება, რომ მათ არ სურთ შკოლა, არც ფულს შეაგრეებენ მასწავლებლისთვის.“ კიდევ აი ის სიტყვები, რომელნიც მას გაუგონია ხშირად გლეხ-კაცისაგან: „არ გვინდა შკოლები, არავითარი სარგებლობა არ გამოდის. ტეუილად გვედუპება ფულები, მხოლოდ მასწავლებელი აგვებება და სხვა არაფერი.“ — უცნობი კორრესპონდენტი ხედავს ამისთანა საეჭვო მოვლენის მიზეზს, მარტო მასწავლებლების უვარგისობაში კი არა, თვით პროგრამის ნაკლულებაში. იგი იმ აზრს ადგება რომ ქართულს ენას არ უჭირავს სასწავლებლებში პირველი ადგილი; რომ უცხო ენაზე სწავლა პატარაობისას, ნამტინავად პირველ დაწყებითი, გონებას უხშობს ბავშვებსა სწორეთ ამასვე ვხედავთ დღეს რაჭის სახალხო შკოლებშიც. თუ მართებლობამ ყურადღება არ მიაქცია ამ მოვლენას, სულ მალე მოგესწრებით იმ დროს, რაცა შკოლები გაუქმდებიან. თუ ამას იტყვიან, რატომ გლეხები არ აცხადებენ თავის სურვილს ამაზე პასუხი ადვილია. ზოგჯერ ეს უნდა დავაბრალოთ, შორაპანში არ იყოს, მამასახლისებს, რომელთაც ნაბძანები აქვთ ხოლმე, არ მოახწიოს ამ გვარმა ხმებმა ჩუმადის, თორემ ულვაშისგან გაგტლეო; ან ეს უნდა მივაწეროთ ჩვენის ხალხის გონების სიზანტეს, ან ცხოვრებაში ერთხელვე მიღებულ ხერხსა, რომელიც ასწერა დროების მე 19, 20, 85 და 86 მჭერ მეტუველებით გოგოლეთელმა და 1874 წლის მე 37 №-ში ჩხრეკია რაჭველმა. მე კიმბობ ნამეტან თავდაბლობაზე, რომელიც ხან და ხან ეთანასწორება თავისდამცირებას და რაჭველის გლეხის ხასენებასთან განუშორებლია. რაჭველნო! როდის იქნება ის ნეტარი დრო, როდესაც ეს გონებითი ტანჯვა და დამცირება—ჩვენის გლეხების პატარა შვილებისა აგვცილდეს? როდის ვეღირსებით რიგიანად მომზადებულს ბედაგოგებს? როდის იქნება რომ გოგოლეთელის და მისი ამხანაგების ღაღადების მაგიერ გამოვიდენ ასპარეზზე იმისთანა გვამები, რომელთაც შეიძლონ საქმით დამტკიცება, რომ ხალხის საამსახურო სურთ, რომ ხალისიერთგულნი შვილნი არიან?

გოგოლეთლის მეზობელი.

— რაჭიდამ იგივე კორრესპონდენტი იწერება: „რაჭაში ამ მაისის დამლევს და ივნისის პირველს რიტაჩვებში მშვენიერი ამინდებია. მოსავალს მოველით მეტად კარგს. ბუერი შემოსულია, თითქმის კალიას მეტი არას ვეშინია, ეს კი ძვირი სტუმარი გასალავსთ ჩვენში. ღვინოც უნდა მოვიდეს, ყვავილობა გაათავა სასუეთესო ყურძენმა კარგს მოწმენდილ ღამეებში და ცხელ დღეებში და ეს ტოტა არ არი მამულებისთვის: სიმინდის თოხნა გაუერდათ, მაგრამ ეჭვს ივნისს და შვიდს ღამე სულ სწვიმდა და მიწა გალბა, ესლა დარები გვეჭირება. რომ ომის მბები არ გვაწუხებდეს, არ გვიშფოთებდეს მეუდრო ცხოვრებას, ამ წელიწადზე უფრო სანატრელი და სასიხარულო არა გვექნება რა.

— ქუთაისიდამ: „როგორც მოგესსენებათ, ქ. ქუთაისი ზემო იმერეთის ღვინით რჩებოდა. ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ ქუთათელნი ძლიერ გასარებულნი არიან, როდესაც ზემო იმერეთში კარგს ღვინის მოსავალს მოელიან და მძიმედ თავ-ბალუნულნი, სასეამოხუშულნი დადიან, როდესაც ღვინის მოსავალი გლახა იმედს იძლევა. სწორეთ ამ უკანასკნელს ყოფაში არიან ახლა ქუთათელნი, რადგანაც შეიტყვეს, რომ ზემო-მხარეები (ასე უწოდებენ ზემო-იმერეთს) ამ ხანათვე ნატარი გაჭენია ბახუსის ხეხილს, — ვაზსა...

„გასარებულნი არიან მხოლოდ იგინი, რომელნიც კარგს მოსავალს ელიან. არიან იმისთანა ბედნიერნი, რომ კაზი, ოკეანეგან წამხდარი, მხოლოდ მათს ადგაგში, მარტო მათს ადგაში რადაც უზენაერის ნებით გადარჩენილა..,—მაგრამ მათი რიცხვი წვეთია უკიანეში“—

— კასეთიდამ ვაზის სნეულების შესახებ ცუდი ამბები მოდის ამბობენ, რომ ამ გვალვებზედ ნატარი ყველ-

გან გამოხსნილნ და ნამეტნავად ალაზნის მარჯვენა მხარეზედაო. ეგენი უნდოდათ საწყალს კახელებს; რაც სეტყვამ დაკლო იმას ნაცარი შეუსრულებს.

გორი, 7 ივნისს 1877 წ.—„ივერიის“ მკითხველებს თუმცა არ აკლიათ გორის ამბები, მაგრამ მეც მინდა გაგიგებინო იმათ ერთი ძველ-ახალი ამბავი. თუმცა წარსული საქმეა, მაგრამ უურადღების ღირსი კია აწმდგომისთვის, იმიტომ-რომ იგი გვაჩვენებს, თუ რამდენად კეთილ-სინდისიანები იყვნენ ზოგიერთნი ჩვენის გორის ქალაქის დეპუტატები. ეს ანბავი მდგომარეობს იმაში, რომ გორში მცხოვრებელს, უკვე გარდაცვლებულს, ისაია ტერ-დავითოს ჭკონდა გორში ქვითკირის სახლები, რომელიც მის წინაპართაგან უანდერთ იყო აშენებული, ასე რომ ქუჩის პირზედ კედელი გოჯამდე გამოწეული იყო. სხენებულმა ტერ-დავითოვმა მოინდომა იმ ძველ შენობაზედ მეორე სართულის მოდგმა. დაიწყო თუ არა შენობა, გორის ქალაქის დეპუტატებმა, შენობა დაუყენეს და გამოუცხადეს, რომ არსიტექტორისგან ნათქვამი გვაქვსო, რომ კისი შენობაც ქუჩის გარედ გამოწეული იყოს, სულ უნდა დაიქცეს და ბლანზედ აშენდესო. თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც ტერ-დავითოვს მოსწყდა! მაშინვე შენობა შეუყენა,—რა იცის, თუ დეპუტატებს რა განზრახვა აქვსო! ბევრი იფიქრა და ეცადა სახლების აშენებას ძგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა. მაშინ საწყალმან ისევ ამკობინა ამ დეპუტატებს მიჭმართოს. დეპუტატებმა ასრე სასტიკად იმიტომ შეუტიეს გაბერებულს კაცსა, რომ ფეხები აბწაენინა როგორმე, მიზეზს ეძებდნენ როგორ დასტეხონ და მალეც იპოვეს. უთხრეს დეპუტატებმა ტერ-დავითოვს: თუ გინდა შენ სახლები ააშენო ეს თხოვნა შეგვისრულე, ისაი იაკულიბ! ხომ იცი გორი ღარიბი ქალაქია, იმოდენა შემოსავალი არა აქვს რომ ღმე ასანთები ფარნები გამართოს. შენ როგორც უშვილო კაცმა და, ღმერთმა მოგცეს, შეძლებულმაც, ერთი ორმოცი თუმანი შეგწყირე გორს, რომ ფარნები გავმართოთ, რომლითაც ჩვენც დაგვავლებ და ქალაქსაც და რაც კარგი კაცობის სახელი დაგრჩება ის სხვა არის. ოღონდ ესა ჭქმენ და ჩვენ ვგსთხოვთ არსიტექტორს, რომ ალარ დაგაქცევინოს მთლათ შენობა. რა ჭქნას ტერ-დავითოვმა, ამოდენა შენობა რომ დაუქცეთ, ხომ დაიღუპა! მოატეუეს ტერ-დავითოვი და გამოართვეს 400 მანეთი ღმე ფარნების ასანთებათ და ნება უბოძეს სახლები თავის სურვილზედ გაეკეთებინა, და მართლაც გააკეთა კიდეც. დეპუტატებმა რა ეს ფული მიიღეს, მაშინვე ვითომ საქმე დაიწყეს, ათი მუხის სვეტები გამართეს სხვა და სხვა ადგილას, ღირებული, სულ ბევრი ჩავაგდოთ წმინდა სინიდისით, ოც მანეთად, სვეტებზედ ფარნებიც გამართეს, ესეც ღირებული სამოცდა-ხუთ მანეთად, კიდევაც ანთეს ორ ღმეს, ისიც უკელგან არა, მარტო იქ სადაც ბოლიტია უურებდა. შემდეგ ამისა კი თავი დანებეს, სვეტები ზოგი ვიღამაც დაგლიჯა და ზოგი ისევ აგუნტია აქა იქა. ფარნებიც აქეთ იქით წაიღეს. გარდა ამ 400 მანეთისა, სხვა რა სარჯიც გამოიეანეს ფოტოგენისა, ფარნებისა, მომგლელისა, მოჯამაგირის, საქალაქო გასავალის ანგარიშში ჭსწერდნენ, ისე ვითომც ფარნები მუდმივ ნთებულა გორში და ვითომც იმაზედ ისარჯებოდა. თქვენი ცოდო მქონდეს და იმ დეპუტატებისა, მაგრამ შევცდი, იმ დეპუტატებს რა ცოდო აქვთ, ქრისტეს ნათლულები არიან.. ალაზარეს გავები....მე ამას ვიტყვი: როგორათაც ტფილისში ანთებული ფარნების სინათლეს გორში არ გაუნათებია, ისე აქაურს ფარნებსა. რაც გორში ერთხელ არ აინთო, მას აქეთ ჩვენ ფარნები ალარ გვინახამს ანთებული გორის ქუჩებში. მე ეს ძველი ამბავი იმიტომ მოგიყვანე რომ ზოგიერთი კორესპონდენტები სწერენ სხვა და სხვა გაზეთებში გორის უფარნობას, და ისე გამოჭყვეთ ვითომც გორის ქალაქის საამქართველო იყოს ამაში დამნაშავე. საამქართველომ რა ჭქნას, იმას რა დანაშაული მიუძღვის, ჯერ ერთი წელიწადი არცა აქ საამქართველო დაარსდა და ოთხათ ხომ ვერ გაიგრძობა? განა ადვილია იმ დეპუტატების აწყვილ დაწყვილის საქმეების წესში მოყვანა? აქაურ საამქართველოს ჯერ საქმეები არც კი ბაუბარებია სრულათ, რომ საქმე თავის წრეზედ დაუყენოს. ესლა გორის საამქართველო ძალიან ცდილობს და საშუალებასაც ეძებს ქალაქის განათებისას.

ა. თ.

მცხეთიდან—ამ თვის ხუთს შუადღის უკან საამ საათზე, სოფ. მცხეთას მოხდა საამწუსარო ამბავი. თ. ბ. ბედევანიშვილის ოთხი პატარა შვილები, ორი ქალი და ორი კაცი, უფროსი ქალი თორმეტი წლის და მეორეც მისი მომდევნო, წაუყვანია თავიანთ ნათესავ გასთხოვარ ქალს მტკვარში საბანაოთ. ეს ამათი ნათესავი ქალი შუ-

სულა იქვე წყლის პირას საბანაოთ და ეს ორი გედევანოვის ქალებიც თან შეუყვანია. ამ დროს ამ ბავშვების დედას გაუგია, რომ მისი პატარა შვილები მათმა ნათესავმა ქალმა წაიყვანა საბანაოთ, და მაშინვე გოგო დაუდევნებია, რომ შვილები არსად დამეხრჩონო. მაგრამ გოგო რომ მისულა წყლის პირას, თურმე სამი ქალი—ორი გედევანოვისა და ერთი მათი ნათესავი, წყალს მიაქვს დასახრჩობათ. ესენი რომ ნახა იხრჩობოდნენ, გოგოც თურმე მივიდა საშველებლად და ისიც კი წყალმა წაიღო. ორი პაწაწა გედევანოვის ვაჟებიც თურმე მირბიან მისაშველებლად, და ერთმა დედა-კაცმა შეიკავა ეს ბავშვები, თორემ ესენიც ჩაცვიოდნენ წყალში, და მათი გადარჩენა ღმერთმა იცოდა. ეს უბედურება თურმე მტკვრის გაღმა რკინის გზის ბუდკის ყარაულმა დაინახა და ყვირის საშინელის ხმით: თუ უშველით ოთხი სული იხრჩობა. მერე როგორც იყო სოფელმა გაიგო და ერთი მათგანი თათარაშვილია, ისე ტანისამოსიანათ შევარდა წყალში და იმანაც დაიწყო ყვირილი: მიშველეთ თორემ მეც დავიხრჩობიო. მერე სხვებიც მიეშველნენ და სამი გულწასულები გამოიყვანეს, ასე რომ იმათ არავითარი სიცოცხლის ნიშანი არა ჰქონდათ. თურმე ერთიცა ყოფილა წყალში და იმათ კი ვერა გაიგეს რა. მხოლოდ დედა რომ ჩამოვიდა, იმან დაიკივლა საშინელის ხმით: ვაიმე ჩემი ნუცა აღარ არისო. ბევრი ეძებეს ის თორმეტი წლის ბავშვი, მაგრამ ვერ იპოვეს. ის სამი კი მთელი დღე ძლივს მოაბრუნეს, მაგრამ ძრიელ შეშინებულები არიან, ასე რომ იმათი მორჩენა საეჭვოა. დედა მათიც ძრიელ ავათ არის.

საპოლიტიკო მიმოხილვა

წვრილი ამბები. — გაზეთის Indèpendance Belge-ს პარიჟელი კორრესპონდენტი ამ გვარად ჰხატავს საფრანგეთის მონარხიულ მდგომარეობას: „კოალიციას (ე. ი. მონარხიელთა ზავს) სწორედ ის დაემართა, რაც აუცილებლად უნდა დამართოდა. სამი დასი წარემართა ხელი-ხელს გაყრილი ბროლჯისა და ფურტუს წინამძღომლობით. ამათ დაარწმუნეს იგინი, რომ საქმე მხოლოდ რევოლიუციის დამარცხებაში მდგომარეობსო. მაგრამ ახლა, როდესაც გზა გაიარეს და მტერს მიუახლოვდნენ, ერთმანერთს ეუბნებიან: ჩვენ კარგად ჰხედავთ მტერს, მაგრამ ვიდრე დავიპყრობთ მას, საჭიროა ერთიერთმანეთს წინადვე მოველაპარაკნეთო დავლა როგორ გავიყოთო. ახლა მონარხიელნი წინ ფეხის წადგმაზედაც უარს არიან, ვიდრე მთავრობა არ გამოგვიცხადებს თავის აზრს დავლის გაყოფის შესახებო. რადგანაც მთავრობა ამის შესახებ არავითარს მტკიცე გარდაწყვეტილებას არ აღიარებს, მონარხიელნი ამღვრეულნი არიან. სამის მონარხიელის დასასაგან თითოეული დასი მხოლოდ თავის საკუთარს სარგებლობასა ეძებს და თუნდა ორი დანარჩენი დასიც წინ მტრად დაუხვდეს, მაინც საკუთარის სარგებლობისათვის ბრძოლას არ მოერიდება.

ბონაპარტიელებმა ამ გვარად გაშალეს თავისი დროშა და ცდილობენ აგები როგორმე სხვებს დაასწრონ და უკეთესი ადგილი დაიჭირონ თავის რაზმს ბრძოლაში. ლეგიტიმისტებმაც მოითხოვეს მყუდრო ადგილები. მაგრამ მოუცდათ და ამიტომ კონსტიტუციის მონარხიის კაცებს (ე. ი. ორლეანისტებს) მოსთხოვეს შემწეობა.

ერთის სიტყვით, დარჩა მხოლოდ ორი მებრძოლე დასი, თავ-თავის კერძო სარგებლობის მიმდევარი ორთა მოთავის წინამძღომლობით: ბროლჯი ორლეანისტების და ფურტუ ბონაპარტიელთა მხრით.“

— დეპუტატთა პალატი რომ დაიშალა, რესპუბლიკელებმა, როგორც მოგეხსენებათ, დაარსეს ცალკე კომიტეტი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მთავრობის ქცევასა და ყოველი მისი უკანონო მოქმედება უყურადღებოდ არ დააგდოს. ეს კომიტეტი გამოჩენილთა იურისტებისაგან არის შემდგარი. ამას წინად ამ კომიტეტმა გამოაცხადა თავისი აზრი შესახებ მთავრობის განკარგულებისა, რომლისაგამოც მთავრობამ ხელი შეუშალა ჟურნალ-გაზეთების ცალკე ნომრობით გაყიდვასა. კომიტეტი ამტკიცებს, რომ მთავრობას არა ვითარი კანონიერი უფლება არა აქვსო აუკრძალოს გაზეთების გამყიდველს იმ გაზეთების გაყიდვა, რომელნიც ნება დართულნი არიან კანონის მიერ. იმ ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთ, რომელთა წინააღმდეგ ამ გვარ საშუალებას იხმარს მთავრობა, შეუძლიანთ იჩივლონ სასამართლოში და მთავრობას ზარალი აზღვევინონო.

ამ გვარს გამოჩენილთა იურისტების აზრს ძალიან შეუწუხებია თურმე სამინისტრო, მით უფრო, რომ მის მომხრეთა შორის ვერ მოიპოვება გამოჩენილი იურისტი, რომელსაც შეეძლოს ზემოხსენებულის აზრის დარღვევა, იმედია, რომ ჩქარა საფრანგეთის სასამართლოში ბევრი

ჩვეული შეკა ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რომელნიც, როგორც მოგსსენებათ, განუსაზღვრელად სდევნიდნენ რესპუბლიკელ გაზეთებს.

— შვეიცარიაში მცხოვრებთა ფრანციელებს (ესენი იმ ელზასიელთაგანი არიან, რომელნიც არ დაჭმორჩილდნენ პრუსიელებს და საფრანგეთის გვარტომობას არ უღალატეს) დეპუტაცია გაუგზავნათ გამბეტასთან და სჩუქრად ოქრის საათი უძღვნიათ. გამბეტამ, რასაკვირველია, დიდი მადლობა გადუხადა და სხვათა შორის თქვა: „რადგან თქვენ ტიერის სახელი მოიხსენიეთ, იმ გამოჩენილის კაცის სახელი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდვა თვის სამშობლოს, უნდა მოგახსენოთ, რომ იგი არა ყოფილა ისე სადი და ჯანმრთელი, მისი ჭკუა-გონება ისე ნათელი და ძლიერი, როგორც ამ ყამად არის.“

გამბეტა ყოველ შემთხვევით სარგებლობს, რომ ტიერი წამოაყენოს. ეს დიდი გონიერებაა გამბეტას მიერ. მაგ-მაგონს რომ სახელი გაუტუდა საფრანგეთში, ეს ცხადია. ამ ყამად გამბეტასაგით სახელ გათქმული კაცი ძნელად თუ მოიპოვება საფრანთეთში, მაგრამ რესპუბლიკელებმა რომ გამბეტა წამოაყენონ მაგ-მაგონის მოტიდეთ, ეგრეთესაცა და თვით საფრანგეთის ზომიერ პირთაც ამით დაეთრთხობენ, რადგანაც გამბეტას სასელი რადიკალობის უფლებას მოასწავებსო. ამ გვარის შიშის გასაქრობად გამბეტა და მისი მომხრენი წამ და უწუმ ტიერის სახელს ახსენებენ. თუმცა გამბეტას ეერაფერი სიყვარული მიუძღვის ტიერისადმი, მაგრამ დროთა მოთხოვნილება იმ გვარია, რესპუბლიკა იმისთანა განსაცდელშია, რომ რესპუბლიკელთ ისევ ტიერი ურჩევნიათ, ვიდრე აწინდელი მთავრობა, რომლის გამარჯვება თვით რესპუბლიკის დარღვევას მოასწავებს.

— სერბიის სკუპშტინამ მილანის სიტყვაზედ პასუხი მიუგო, და ამ პასუხში მადლობა და თანაგრძნობა გამოუცხადა. ეს გარემობა ბევრს იმედს იძლევა, რომ სერბია ომში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგანაც სკუპშტინამ იგივე აზრი ადიარა ნეიტრალიტეტის შესახებ, როგორიც მილანმა. მაგრამ სკუპშტინის ერთმა ნაწილმა დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინა ამ გვარის მიდრეკილების შესახებ და ოცდათერთმეტი კაცი დეპუტატობიდამ გამოიყიდა. სკუპშტინამ მიიღო მათი სამსახურიდამ გამოსვლის თხოვნა და რადგანაც მათი რიცხვი იმდენად შემცირებს სკუპტინის წევრთა რიცხვს, რომ საქმის წარმოება ადარ შეუძლიან, ამიტომ ახალი არჩევანი დაინიშნა.

ეს გარემოება ცხადათ გვიჩვენებს, რომ ამ ყამად სერბიაში ომიანობის მომხრე პირნი ბლომად მოიპოვებიან.

— ერთი ინგლისური გაზეთი ამბობს, რომ ამ მოკლე ხანში ლონდონს ერთი ავსტრიელი დიპლომატი უნდა მოვიდესო, რომელიც განგებ იგზავნებაო ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლადაო. გარდა ამისა ვენაში ლაპარაკობენ ვითომ გრაფ ანდრაშს და ინგლისის ელჩს ერთი-ერთმანეთის შორის პირობა დაუდვიათ საერთო მოქმედებისათვის. მაგრამ ერთი ავსტრიელი ოფიციალური გაზეთი ამბობს, რომ არავითარი ხელშეკრულობა ამ სახისა არა სუფევსო; ინგლისსა და ავსტრიას მხოლოდ ერთგვარი ინტერესები აქვსთო და ამიტომ იძულებულნი არიანო ერთგვარი საშუალება იხმარონო მათთა დასაცველად.

— ლონდონიდამ ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ ინგლისის ელჩი სპარსეთის წინაშე ცდილობსო შაჰისა და ხონთქრის შორის ზავი ჩამოაგდოსო. ინგლისი ფულს დაჭიერებიაო შაჰს, ოღონდ ჯარი მიაშველე ხონთქრისაო. მაგრამ ამბობენო, რომ უველა ეს ინგლისის მეცადინეობა ფუჭად ჩაივლისო, რადგანაც ჭკონიათ, რომ რუსეთსა და სპარსეთს პირობა დიდი ხანია შეუკრავთ კიდეცა.

— გაზეთს „Estafette“-ს პეტერბურღიდამ სწერენ, ვითომ რუსეთს ავსტრიის საზღვარზედ 200,000 ჯარის კაცი გაჰყავსო.

— ინგლისის გაზეთს Standard-ს შემდეგი დეპეშა მოსვლია სტამბოლიდამ: „ამ დღეებში ხონთქარი აპირობს პასუხის გამოტემას იმ პროკლამაციაზედ რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა გამოსცა ბოლგარიელთა თვის. ამ პასუხში, რომელიც ძალიან ზომიერ სიტყვებით არის შედგენილი, ხონთქარი სხვათა შორის იხსენიებს იმ უბედურებას, რომელშიაც ჩავარდნილია უველა, ვინც კი მინდობია რუსეთს. გარდამისა ხონთქარი ამბობს, რომ რუსეთი ვერ მიანიჭებს ბოლგარიელებს თავისუფლებასაო, რადგანაც ამ თავისუფლებას თვითონ მოკლებულიაო. სადაც კი რუსეთი გარეულაო, უველგან მხოლოდ განადგურების კვალი დაუგდიაო.

— ერთი ნემეცური გაზეთი ამბობს, რომ ეგვიპტის ხედივი დაჰპირებია ხონთქარს 20,000 ჯარის კაცს.

— საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, რომ ნაპოლეონ III შვილს არჩევანის წინა დღეს მანიფესტის გამოცემას აპირებს, რომლითაც გამოუცხადებს ხალხს, რომ იგი თვის უფლების მოპოვებას 1880 წლამდე გულშიაც არ გაიტარებს.

— ინგლისური გაზეთი Daily Telegraph ამბობს თურმე, რომ მთავრობას გადაუწყვეტიაო ესლავე დაიჭიროს გალიპოლის ნახევარი კუნძული (დარდანელის სრუტე მდებარებს მცირე აზიისა და გალიპოლის ნახევარ-კუნძულის შორის).

— აბდულ-ქერიმის მოადგილედ ევროპიის ოსმალეთის მხედრობის მთავარ სარდლად მეჰმედ-ალი-ფაშა დაუნიშნავთ და დუნაიის მხედრობის სარდლად, ეუბ-ფაშის მაგიერად, ოსმან-ფაშა.

— 4 მკათათვეს ბოსნიელთა და ოსმალეთის ჯარის შორის ბრძოლა გამართულა. ბოსნიელებს გაუმარჯვნიათ.

— ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ლორდს დერბის პალატში სიტყვა წარმოუთქვამს ინგლისის პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთის საქმეში. დიდი ხანია მთავრობამ აუწყა ოსმალეთსაო, რომ თუ იგი უარ-ჰყოფს კონფერენციის წინადადებას, მას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს ინგლისისაო. ამ ჟამად ლონდონის კაბინეტს არავითარი მიზეზი არა აქვსო ამ გადაწყვეტილებას გადუდგესო. რაც შეეხება რუსეთსაო, მან საკმაოდ დაგვარწმუნაო, რომ ჩვენ ინტერესებს არ შეეხებაო. ამ გვარად ინგლისი იძულებული არ არისო ომში გაერიოსო. ამ გვარი პოლიტიკა მთავრობას შეაძლებინებსო გამოიზოგოს ჩვენის ქვეყნის ღონე და მით უფრო მტკიცე და გავლენიანი მონაწილეობა მიიღოს მორიგებაზედ მოლაპარაკების დროსაო.

— ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან: „ოსმალეთის მთავრობამ ბრძოლის ველზე გაგზავნა მაჰმუდ-ფაშა აბდულ-ქერიმის (ოსმალოს მთავარ-სარდალი ევროპაში) სასჯელში მისაცემად. ეშინიანთ მთავარ სარდალმა წინააღმდეგობა არ გამოიჩინოს. როგორც ისმის, ხონთქარი ძალიან გამწყრალია.

ამავე აბდულ-ქერიმ ფაშაზე აი კიდევ რას იწერებიან: ეგვიპტის პრინცს ჰასანს უთხოვნია მთავარ-სარდლისთვის შენი საომარი პლანი ამიხსენიო, რადგანაც ჩემთვის გაუგებარიაო. აბდულ-ქერიმს უარი უთქვამს. ჰასანს ხონთქრის წინაშე უჩივლია და ხონთქარს რედიფ-ფაშა (სამხედრო მინისტრი) გაუგზავნია საქმის გამოსაკვლევლად.

— გაზეთს Standard-ს სტამბოლიდამ სწერენ, რომ იქნება აბდულ-ქერიმი გადააყენონო. მაგრამ მის მოადგილედ რედიფ-ფაშა კი არა, სულეიმან-ფაშა (ჩერნოგორიაში რო ომობდა) იქნებაო.

— ამ ჟამად ამბავი მოვიდა, რომ აბდულ-ქერიმი გადაუყენებიათ კიდეცა და მის მოადგილედ დაუნიშნავთ მეჰმედ-ალი-ფაშა.

სხვა გვარი ცვლილებაც მომხდარა სტამბოლში: საფვეტ-ფაშის მაგივრად გარეშე საქმეთა მინისტრად აარიფი ფაშა დაუნიშნავთ და სავფეტ-ფაშა საჯარო შენობათა მინისტრად. სამხედრო საქმეთა მინისტრი რედიფ-ფაშაც გადაუყენებიათო და მის მაგივრად რეუფ-ფაშა დაუნიშნავთ.

— გაზეთი Standard ამბობს, მთავრობამ წინადვე უნდა გამოაცხადოსო, რომ რუსის ჯარს სტამბოლის კარებში ინგლისის ჯარი დაუხვდებაო. გაზეთის აზრით, ამ გვარი პოლიტიკა ევროპას ომს ააცილებსო.

ოსმალოს საქართველო

ქობულეთი

ქობულეთი არის გურიის ნაწილი, მდინარე ჩოლოქის გაღმა, რომელსაც ზღვის პირას ჭოროხის შესართავამდის 45 ვერსის სიგრძე აქვს. სამხრეთით აჭარა აქვს და დასავლეთით ჭოროხი.

ადგილ მდებარეობა ქობულეთისა ზღვის პირას უფრო ვაკეა და სამხრეთს და აღმოსავლეთს გურიის სამზღვარზე ვიწრო, ძალიან ვიწრო ხეობებია, ისე რომ სახნავ სათესად ძნელი მოსახერხებელი ადგილებია. ამისაგამო სოფლები უფრო ზღვის პირად არის მოფენილი. მოსავალი ამავე მიზეზით მცირე მოდის: უმთავრესი ხალხის მაცხოვრებელი სიმინდი და ღომია. ამის გამო ხალხი საკმაოდ ღარიბია.

აქაური მცხოვრებლები ვერასფრით ვერ განირჩევიან გურულებისაგან: სახითა და ტანით, ტანსაცმელით

სახლის შენობით და მოწყობილებით, სასაითით და ჩვეულებით, მხნეობით და შრომის მოყვარეობით, ქართულის ენით (გურულის კილოთი). განსხვავება მხოლოდ სარწმუნოებაა რადგან ქობულეთლები მაჰმადიანები არიან, მაგრამ იმათშიაც მრავალი საიდუმლო ქრისტიანეა, მეტადრე დედა-კაცები, რომელნიც ბატარა უმაწვილებს ანათლებენ და ქრისტიანობის სიყვარულს გულში უნერგავენ. მრავალს ქობულეთის თავადაზნაურებს (ბეგებს) და აღულ-კაცებს ცოლად გურული ქალები ჰყავთ. გურია-ქობულეთში ცოლ-ქმრობა ძალიან ხშირად სიყვარულით მიჯნურობით ხდება ხოლმე; ამის გამო ხშირია გურიიდამ ქალების ტაცება და ქობულეთში გადაყვანა. წინათ ეს ქალების ტაცება იცოდნენ გასაყიდათ. ახლა მოისპო ეს უმგზავსო და უწესლო ჩვეულება.

ამ ერთმანერთში მოყვარობის გამო გურია-ქობულეთს ერთმანერთში დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ და საზღვარ-ახლოს მდებარე სოფლები ქორწილს და ქელეხს ისე არ გადიხდიან, რომ ერთმანერთი არ მიიწვიონ, ერთის სიტყვით ჭირში და ლხინში ერთობა აქვთ.

გურიაში ნაგომარზე როდესაც მკათათვის 17-ს წმ. მარინეს დღეობას ქალაქობაა (იარმუკა), აქ დიდძალი ხალხი იყრება მთელის გურიიდამ და აგრეთვე ქობულეთიდამ. ერთი კვირის განმავლობაში ვაჭრობაა, სადაც ჯანებს თანხატურებში დუქნები აქვთ გამართული. აქვე მოდიან მოვაჭრენი ქუთაისიდამ, ზუგდიდიდამ, ახალციხიდამ და ტფილისიდამ. არა გვგონია ისეთი ადგილი იპოვებოდეს მრთელს საქართველოში, სადაც ამოდენა ქართველობა ოთველ კუთხიდისა იყრებოდეს ერის მოსამზღვრე ხალხმწიფოდამ. ყველას მოუტანია თავისი ნამუშავარი და თითქო ერთმანერთს უჩვენებენ თავის ნაშრომსა და ეუბნებოდნენ: აი მე ვინა ვარ და რა მაქვს. ამ ქალაქობაში იმართება ერთ დღეს ჯირითი გურულების და ქობულეთლებისა და პირველი თავადიშვილები და ბეგები ამ ვარჯიშობაში იჩენენ მამა-პაპურ მარდობას და ხელოვნებასა.

ქობულეთის ბეგები, რომელნიც გურიის თავადიშვილების სტუმარნი არიან და მონათესავენი, ერთგვარად ლხინობენ გურულებთან და ძველის მამა-პაპურის ჯირითის დრის მაყურებელს დიდს სევდას აუტანენ გულშია. საქართველოს ერთობას და წყეულ დაშორებას აქ გურიაში და გურიის ბედზედ ჰხედავთ.

ერთის შესედვით ყველაფერი გატეობინებთ, რომ ჩვენ ძმანი ვართო....იმ დროიდე, ვიდრე ორს ხალხმწიფოს შუა „ომის ტეტალი ასტეხებაო“.

და აგერ ასტეხა იქ, სადაც გუშინ ერთად ჯირითობდნენ და ვაჭრობდნენ ძმანი ძმის მოგულენი დღეს ორად დაყოფილნი სამეფასთან და ციხისძირთან ერთმანერთს ებრძვიან საშინლად,

ორნიკ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნიკ ომებში გაქეზებულნი.....

ხვალ მორიგება მოხდება და ისევ ძმათ შეიყრებიან. დაიდოცა ღმერთო შენი სამართალი! დღეს ძმა ძმის მკვლელია! ეს რა წყეული სამზღვარია იმ თავათ ამ თავამდის ათასის და ორი ათასის წლის განმავლობაში! სწორეთ ამ სამზღვარზე შეუწყვეტელი ბრძოლა უნდა იყოს მუდამ: საბერძნეთსა და სპარსეთს შუა, ოსმალოსა და სპარსეთს შუა, ოსმალოს და რუსეთს შუა!...ეს რა გადაუსვლელი და შეჩვენებული მიჯნაა, რომ ძმამ ძმის სისხლი უნდა დაღვაროს; ეს რა დამშორებელი და შემაკავშირებელი კედელია ძმათა სისხლითა და ძვლით აგებული, რომ არც შეუერთდნენ ერთმანერთსა და არც ერთმანერთს დაშორდნენ?!....ეს საქართველოს მდგომარეობა ერთის სახალხო ლექსით კარგა ისტეა, რომ ბედის მდურვა ისმის:

არც მომკალა, არც დამარჩინა, სიმწარე დამალევინა!
ხოლო „როდემდის...ოჰ როდემდის?“

1829 წლამდე ქობულეთი ეკუთვნოდა გურიასა. აქაური თავადები თუმცა საკმაოდ თავისუფალნი იყვნენ გურიელისაგან, მაინც უმთავრესი მბრძანებელი მთავარი იყო. რუსეთსა და ოსმალოს ომის შემდეგ 1829 წელს საზღვრად დაიდვა მდინარე ჩოლოქი და ამ გვარად ქობულეთი ერგო ოსმალეთსა. დიდხანს დავა იყო ამ საზღვრებზე მცხოვრებელთ შუა ზოგს თავადიშვილებს ჩოლოქს გაღმა ჰქონდათ საყოფი ადგილები, მაგალითად თ. დათა გუგუნავას; ზოგს ქობულეთლებს ჩოლოქს გამოღმა მაგალითად ედეფ-ბეგ თავდგირიძესა. ამის გამო დიდი დაგები აღმოჩნდა მოსაზღვრებს შუა და მხოლოდ 1854—1856 წელს ომიანობის შემდეგ გადასწყდა ეს დავა, სახელდობრ 1859 წელს, როდესაც რუსეთის, ოსმალოს, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელთა კომისიამ დასდვა საზღვარი.

ქობულეთში შესანიშნავი ქალაქი არის ბათუმი თავისის ნავთ-სადგურითა და ციხითა. ბათუმი იმისთანა

ადგილს მდებარეობს, რომ სავაჭრო საწყობ და გემის დასადგომ ადგილათა ხდის და ამით ფოთზე იქნება უკეთესი ბედი მოელოდეს. ამ ჟამად ბათუმიდამ არზრუმს შოსსეს გზა მიდის და ამ გვარად ხმელეთითაც ვაჭრობის გაჩაღებას მოელის. ქალაქი თვით პატარაა დუშეთის ოდენაა.

შემდეგ ბათუმისა არიან: დაბა ქვემო ქობულეთი (ანუ ჩურუქსუ) სოფ. ზემო ქობულეთი და სხვანი. შესანიშნავი და მიუდგომელი ციხე ბათუმს გარდა ციხის-ძირია.

პ. უ.

მგზავრის წერილები

სვანეთზედ

(შემდეგი) *).

„მური“ დიდი სოფელია და მდებარებს სვანეთის ვიწროებიდამ მომდინარის ცხენი-წყლის მარცხენა მხარეს, დიდ ციხიან მურის მთის ძირში. მური, უწინდელ დროს მეგრელიის მთავრის საზაფხულო სამყოფი იყო; ეხლა კი ამ ალაგს საცა მთავრის ქვითკირის სასახლე იყო, ამ ჟამად სულ-მთლათ დაქცეულა, ხის სახლში დგას ლეჩხუმის მეორე განყოფილების მიროვოი პოსრედნიკი დიმიტრი ბაქრაძე. ამან ცოტათი შეგვაჩერა და სადილიც გვითავაზა; ჩვენ თუმცა მივეშურებოდით, მაგრამ სადილის ხსენებამ მალა გაგვიხსნა და რასაკვირველია, ბევრი თხოვნა არ გვინდოდა, და ვეწვიეთ სადილად. ამ დროს ჩვენი უკან დარჩენილი ბარგიანი ცხენებიც მოგვეწიენ. მშვენიერი ღვინო ჰქონდა ბაქრაძეს, და უკეთესი ცხენი-წყლის კალმახი, რომლის სახელი განთქმულია ლეჩხუმში. სახლის წინ, დიდ მინდორზედ ცხენი-წყლის პირას მშვენიერ იფნარში გაგვიშალა სუფრა მასპინძელმა; იმ იფნარში, სადაც უწინ მთავარი დადიანის ქვეშევრდომ ხალხის სასჯელი იყო. ამ ალაგს გადმოჰყურებს მაღალი-ტყიანი მურის მთა, რომლის წვერზედაც სდგას დიდი ქვითკირის ციხე-გალავანი იმავე დადიანისა, ეხლა ეს ციხე, სიძველისაგამო, ნახევარი ჩაქცეულია. საკვირველი ის არის, რომ ამ ციხეში არის ერთი დიდ-ყალიბის შვეციის ზარბაზანი; და რა გზით და რა ღონისძიებით მიიტანეს ეს ზარბაზანი ამისთანა მიუკარებელს ადგილას, საცა ცხენოსან კაცსაც გაუჭირდება სიარული, ჩვენ ვერაფინ აგვიხსნა. ამ ციხეს ცხენის-წყალთან ჩასავალი გვირაბი აქვს, თითქმის ნახევარ ვერსტზედ და ჩასავალს კიბესავით არის გაკეთებული. მეგრელიის მთავრის ქვითკირის სასახლე სულ დანგრეულია, და დარჩენილა მრთლათ მხოლოდ ერთი ბუხარი თავის სრულის სიმაღლითა და სიდიდითა, ამ სასახლის ღორღსა, ნანგრევსა და ნაგავს შუა. ამ ღორღთან მიდგმულია ერთი მუხის სახლი, რომელშიაც მიროვოი პოსრედნიკი არის დაბინავებული, დიდი მადლობა გადავუხადეთ ჩვენს მასპინძელსა და დავადექით გზას. მურის მახლობლად, ასე ერთს ვერსტზე, ჩვენ ცხენი-წყალს გაღმა გავედით, მარცხენა მხრიდამ—მარჯვენაზე, დიდ და გრძელ ხის ხიდზე და სვანეთის მიწას ფეხი დავადგით. ამ ხიდს, რომ გავსცილდით იმ წამსვე ჩვენ ცხენებიდამ ჩამოვხტით, რადგანაც წელში მოხრით უნდა გავსულიყავით ერთს კლდის ხვრელში, რომელიც ცხენი-წყალს რვა საჟენის სიმაღლიდამ გადმოჰყურებს. თურმე ჩვენი გზა, ანუ ბილიკი, ამ ხვრელში გადის. გავედით თუ არა, მაშინათვე გულისა და სულის თავისუფლობა ვიგრძენით და ამ გრძნობით სვანეთს შევედით. პირველი გრძნობა, სვანეთის მიწას ფეხი რომ დავადგით,—არ იყო კარგი: ამ ხვრელის სიბნელე, მისი შეგუბებული ჰაერი, სინოტიო და სიმაღლე, გულის დასაჩაგრავათ დაგვაწვა, ასე რომ სანამდის ხვრელში შევიდოდით, ჩვენ მხიარულად ვიყავით და აქ რომ შევჰყავით თავი—უცებ, უნებურათ გავკმინდეთ ხმა. მერე, როცა ნათელი დღე დავინახეთ და პატარა ფლატოზე გავჰყავით თავი, უცებ ისევ უნებურათ გულიდამ კარგა ღრმა ოხვრა ამოგვივარდა. ჩვენი ბილიკი, რომლითაც ჩვენ სვანეთში მწკრივად თითო-თითოთ მივდიოდით, ყოველს ნაბიჯზედ გვაფრთხილებდა ცხენი-წყლის პირის აღმართ-დაღმართები, ღირღოვანების წინაშე და რასაკვირველია, ყოველს ნაბიჯზე მოველოდით, რომ ცხენიან-კაციანად გადავემტრევო-

*) „ივერია“ № 19.

დით და ამისთანა ალაგას არ იყო დრო ლაპარაკისა, და არე-მარეს გადახედისათვის და გაცნობისათვის. რაღაც იდუმალი გრძნობა, ძალა გვეუბნებოდა, რომ კარგათ იანგარიშე სად უნდა დაადგა ფეხი, რომ მაგრად დაენდო,—და ამა ვის არ დააღონებდა ეს ბილიკი და ეს ბუნება. ეს ბილიკი სულ მთლად სავსე იყო ზოგი გადმოტეხილ კლდის ქვითა, ზოგი გადმოჩეხილ უშველებელ ხეებითა. თან და თან ჩვენი ბილიკი ხან აღმართზედ ადიოდა და ხან კი დაეშვებოდა პირ-და-პირ ცხენის-წყლისკენ; მაგრამ მაინც კი ცხადათ ეტყობოდა, რომ ჩვენ მაღლა და მაღლა ავდიოდით, სულ მთაში და მთაში ავყავდით ჩვენს ბილიკა—გზას. ასე ოც-და-ათი ვერსტი რომ გავიარეთ, ძრიელ თხლათ დასახლებულს ადგილებში, რომელსაც ეძახიან, „აშარას საზოგადოებას“ ჩვენ იმავე საღამოს, ე. ი. 30-ს მკათათვეს, რო დაღამდა თუ არა, მივედით სვანეთის დიდს სოფელს „ლენტეხს,“ ღამე დასადგომად. ლენტეხის მახლობლად, გზიდამ ჩვენ ბევრი წყლის გარდმოსაშვები ენახეთ, ჩანჩქრები, გარდმომჩქეფარე წყლები, იმისთანა, რომლისაგანაც ჩვენ გაკვირვებული ვიყავით და სვანებს კი არაფრად მიაჩნიათ. შვეიცარიაში, რომ საკუთრად ზოგიერთნი მიდიან ამ გვარის წყლების სანახავათა—ეს არა სჯობიან ვითამ? ეს წყლები ღირსია, რომ საკუთრად მაგათთვის მივიდეს სვანეთსა კაცი, ნახოს, დალიოს და ისევ გაბრუნდეს თავისათვის. ვიდრე ლენტეხს მივიდოდით. ჩვენ მდინარე ხელედურას გადავედით, ხის ხიდზედ. რომელიც მგზავრს ქვეშ ისე იდრიკება, რომ ქანაობას დაიწყებს ხოლმე. ლენტეხთან, საცა სამი მდინარე ერთმანეთს ერთვიან საშინელის დამაყრუებელის ხმითა და ქუხილითა, „ხელედურა“—დასავლეთიდამ და „ლასკადარა“—აღმოსავლეთიდამ, რომელნიც ებრძვიან ცხენის-წყალს, არის პატარა კუნძული, რუსულად „დელტა“ რომ ჰქვიან, და ამ კუნძულზედ დგას დიდი, ხუთ სართულიანი (ეტაჟიანი) ციხე. ეხლა ზოგან ჩამოქცეულია სიძველისაგამო. იგი ეკუთვნოდა იმავე მეგრელიის მთავარს დადიანსა, რომელიც თავის დამნაშავე ხალხს ამ ციხეში დაამწყვდევდა ხოლმე; ერთის სიტყვით ეს უწინ საპყრობილედ ყოფილა. თურმე როგორც მიამბეს, დიდს დამნაშავეთა, ამ ციხიდამ ორს ერთად გადააგდებდნენ ხოლმე, ერთსა ლასკადარის წყალში და მეორესა—ხელედურას წყალში, და თუ ან ორივენი, ან ერთი რომელიმე ცხენის წყალში არ დაიხრჩობოდა, გადარჩენილთ გაანთავისუფლებდნენ სიკვდილიდამ. აგრეთვე ეს ციხე-საპყრობილე ქვეყანას დაიცვამდა მტრისაგან, რომელსაც თუ სვანეთზე, ან სვანეთიდამ—ლეჩხუმზე დაცემა უნდოდა, უთუოთ სვანეთის კარები, ე. ი. ეს ციხე—უნდა აეღო. ეს ციხე—კარებია ლეჩხუმიდამ—სვანეთისათვის და ლეჩხუმისა—სვანეთიდამ. ამ ციხესთან დგას პატარა ხის სახლი, რომელშიაც, ლენტეხის სოფლის კანცელარია, ანუ უპრავლენია იმყოფება. ჩვენ პირდაპირ ამ კანცელარიას მივმართეთ და ჩამოვხდით ცხენებიდამ. რამდენიმე სვანი გარს შემოგვერტყა და როცა შეგვამჩნიეს, რომ ჩვენ ძლივს ვეტეოდით ამ პატარა სალხში, ერთმა იმათგანმა, ლენტეხის საზოგადოების მამასახლისმა, ე. ი. სტარშინამ, გვარად ბენდელიანმა, როცა შეიტყო ვინა ვართ, თავის სახლში მიგვიწვია დასაძინებლად. ეს წვეულობა, რასაკვირველია გვიამა; და ბევრი არ დავაგვიანეთ და მივედით მამასახლისის სახლში. გამეხარდა ეს წვეულობა, ჯერ იმიტომ, რომ ვიცოდი, რომ იმასთან უფრო თავისუფლათ, ფართოთ ვიქნებოდით, ვიდრე სოფლის კანცელარიაში, და მეორეთ იმიტომ, რომ ეს წვეულობა, ჩვენ ლენტეხელებთან გვაახლოვებდა, რის გამოც, შემეძლო უფრო გარკვევით აღმესრულებინა მთავრობისაგან ჩემთვის მონდობილი საქმე, რომლის გამოც მე შემხვდა თვით ეს მგზავრობა. კარგი ვახშამი გვითავაზა ბენდელიანმა; ჩვენ წინ იმ წამსვე ცხვარი დაჭკლეს და ზოგი შეგვიწვეს, ზოგი მოგვიხარშეს; რამდენ ნაირი ხაჭაპურები მოგვიტანა, ვინ ჩამოჰთვლის? ყველა, შემწვარი ვარიები და იხვები—სუფრას არ მოჰკლებია. ღვინო კი არა ჰქონია ჩვენს მასპინძელს, მაგრამ ჩვენ ექვსი კვირის სამყოფი მშვენიერი ჭყვიშური ყიფიანის ღვინო გვქონდა: ლეჩხუმელმა კოსტანტინე ყიფიანმა თავისი თავი ღვინო გამატანა, და ჩვენი მხრით —ბენდელიანს ღვინო უთავაზეთ. ისეთი გულ გახარებული გვითავაზებდა ყოველისფერს, ისეთი -აჩ

ციება სცოდნია ბენდელიანს, რომ მართლა ესთქვა, ცოტათი თავი შეგვაბეზრა ამითი, და თუ ჩვენთან სვანეთის პრისტავი, თავადი ჯორჯაძე არ ყოფილიყო, რომელიც ლაილაშიდამ მოგვყვებოდა ჩვენა, ძალიან საქმეს გაგვიჭირებდა იმისი ჩაციება. ამ ბენდელიანმა თავი დაგვანება, რადგანაც პრისტავმა უთხრა ორიოდე სიტყვა მასზედ, რომ ჩვენს ნებაზედ მიეგდო. ჩვენ დასაძინებლად გარეთ დავწექით, დიდ ცეცხლის გარშემო, ამ ჩვენ მასპინძლის კალოზედ. სოფელი „ლენტეხი“ კარგა მოზდილია; ზოგი ნაწილი შენობისა მდებარებს მთის კალთაზედ, ზოგი მთის ძირში და პატარა ვაკეზე. შენობა, სახლები, უმეტესად ქვითკირისა არის, და ისე არიან ერთმანეთთან მოდგმული, სხვა და სხვა ოჯახის საჭირო შენობებითა, რომ ქუჩას წარმოადგენენ, ძრიელ ვიწროს. ზოგან ჩვენი გზა ამ სოფლის ქუჩას მისდევდა, და რაღაც ნაირ შენობების ქვეშ გადიოდა; ეს შენობები თაღსა და კამარას წარმოგვიდგენდა, ასე რომ ბევრგან ჩვენ ცხენებზე მსხდომი, უნდა ტანში წავხრილვიყავით, რომ თავი არ მიგვეხალა ქუჩის ჭერთათვის.

31-ს მკათათვეს, დილა ადრიანად, ამ ბენდელიანმა პატარა საუზმე, გვითავაზა და მერე დავადექით ჩვენს გზას. სამს საათს შემდეგ ჩვენ მივედით სოფ. „ჭოლურს“. ჩვენი ბილიკა-გზა, მაინც გვაშინებდა და გვაფრთხილებდა, როგორც მე აგრეთვე ჩემს ამხანაგს, რომელსაც ამ გვარი საშიში და საფრთხილებელი მგზავრობა ძალიან ჰყვარებია. ჩვენ სულ ცხენის-წყლის პირებს მივსდევდით და სულ მთაში ავდიოდით; ეს წყალიც თან და თან უფრო ვიწროდ მიდის და ამით უფრო და უფრო ჩქარი დენა აქვს. ჭოლურს ჩვენ სასოფლო კანცელარიაში ჩამოვხტით პატარა ხნით, დასასვენებლად. ეს კანცელარია, რაღაც ნაირი ქვითკირის შენობა ყოფილა. ჩვენ გვითხრეს, რომ უწინა, ვითამც ამ შენობაში ეკლესია ყოფილიყოს და ეხლა თურმე კანცელარია გაუმართავთ ჭოლურებსა. მაშინათვე ცეცხლი გავაჩინეთ; ზოგმა ჩაის ხარშვა დაიწყო, ზოგმა მწვადების წვა, და ორს საათს შემდეგ—როდესაც ჩვენი აქაური საქმეები შეესრულეთ—ხელახლად შევუდექით გზასა. ეს სოფელი ჭოლური მდებარებს მთების კალთებში და არაფრით ყურადღების ღირსი არ ყოფილა. ხუთი ვერსტი, რომ გავიარეთ ჭოლურიდამ, შევუდექით დიდ სვანეთის „ლათფარის“ მთას, ანუ როგორც ეძახიან კიდევ „დადიაშ“ მთას, რომელიც ჰყოფს სადადიანო სვანეთს თავისუფალ სვანეთისაგან, და არის ამ ორის მაზრის ბუნებითი სამზღვარი. სადადიანო სვანეთი იწყობა სოფელ მურიდამ და აქა, ამ მთის წვერზედ თავდება; ამ წვერიდამ კი, უღელტეხილიდამ იწყობა „თავისუფალი სვანეთი“. ეს „ლათფარის“ მთა, ანუ „ლატპარი“, ანუ „დადიაში“ შავ ზღვაზედ 10250, ფუტზედ მაღლა არის. ამ მთის მესამედზედ ნელ-ნელა რომ ავედით, თითო-თითოთ, ბატებივით მწკრივად, ჩვენ ორ საათს შევისვენეთ, ჩამოვხტით, ცხენები საძოვრად გაუშვით და ჩვენც ცოტა საუზმე შევებიჩეთ. შევჩერდი, უფრო იმისთვის, რომ ცხენები ძალიან დაგვეღალნენ და ჩვენი ბარგიც შორს დარჩა, თუმცა კი მერე მალე მოგვეწია. ეს ცხენებიც შევასვენეთ და შევუდექით ჩვენს ვიწრო ბილიკას და იმისთანა ღორღოვიანსა, რომ ჩემი ცხენი რამდენჯერმე წაქცევას და გადაჩეხას აპირებდა. ერთხელ კი ცოტას გაწყდა, ხრამში არ გადავეჩეხენით მე და ჩემი ცხენი, მაგრამ, ღმერთმა გვიბრალა. ავედით სულ ზევით და ზევით; მაღლა ცივმა წვიმამ დაგვიშინა; ჩვენ ავსცილდით ყოველ-გვარის მოზარდობის სამზღვარს. ჩვენი ბილიკი მიდიოდა მხოლოდ ტიტველა ასპიტის კლდეზედ; და მთის წვერზედ ისეთი სიცივე იყო, რომ რაც თბილი რამ გვქონდა, სულ ზედ ჩავიცვით და წამოვისხით, პალტო, ნაბდები, ყაბალახები და სხ. სიცივისაგან ჩვენს ცხენებს ცახცახი გაჰქონდათ. მე თანა მყავდა ერთი ძაღლი, სეტტერის ჯიშისა, რომელიც მთელი გზა მხიარულად იყო და სულ დახტოდა, ხან ჩიტებს გამოეკიდებოდა, ხან კურდღლებს, და როცა ლათფარზედ ავცოცდით, ერთბაშათ ჩაყუჩდა ჩემი ძაღლი, უკანა ფეხებზე ჩამოჯდა და არე-მარეს ათვალიერებდა დიდის სიფრთხილით, თითქო უცებ ყოველი ძალა, ღონე, ქეიფი და სიმხიარულე დაჰკარგვიყოს და საცა დაჯდა—იქიდამ ფეხი არ მოიცვალა: უმიზეზოთ ყეფა დაიწყო, მაგრამ თვითან გაკვირდა და შეეშინდა თავისის ხმის დაკარგვისა.

მისი მაღალი ყეფა, და დიდი ხმა—ეხლა წრუწუნი-ვით გვეჩვენა. მართლაც, რომ ლათფარზედ ისეთი თხელი ჰაერია, რომ როდესაც მე მონადირის საშტვენი დაუშტვინე, ეს ხმა ჭრიჭინას ჭრიჭინივით გვეჩვენა. ამ მთის გარდასავალზედ არის ორი გზა: ერთი ზაფხულის გზა, რომელიც იმისთანაა, რომ ცხენიან კაცს შეუძლიან გადმოუხტომად იაროს, ესე იგი, ის გზა, რომლითაც ჩვენ მივდიოდით. ამ ბილიკა გზაზედ საპალნიან ცხენს სიარული ადვილად შეუძლიან, მაგრამ სხვა ცხენთან შეხვედრა კი—ძნელია; ძალიან ვიწრო ბილიკა არის, და ცხენები ერთმანეთს ძნელად აუხვევენ. ეს ბილიკა მთის წვერამდინ მიკლაკნილ-მოკლაკნილია, მთას ეხვევა და შემდეგ კი მთის კალთებში მიდის. შემოდგომაზედ მგზავრისათვის ძალიან საშიშია ეს ბილიკა, იმიტომ რომ გაყინული წვიმის წყალი და თოვლი და ჭირხლი გზის გამსქდარ ადგილებსა ანუ ნაპრალებს დაჰფარავს ხოლმე, ასე რომ მგზავრმა არ იცის ფეხი სად უნდა დაადგას. ზამთარში კი, სვანები ამ გზას აუხვევენ ხოლმე მარცხენა მხარეს, და მთის თავზედ, წვერზედ გადმოდიან, რომელზედაც მუდამ ქარისაგან და თვით კლდის წვეროების თვისებისაგან თოვლი ვერ ეკვრის და ამიტომაც ეს მთის თავი ყოველთვის მშრალათა რჩება, მაგრამ სვანები თუ ჰბედვენ ამ ზამთრის გზით გარდმოსვლას, მხოლოდ განთიადისასა ჰბედვენ, იმიტომ რომ ამ დროს ქარი არა ქრის, ჯერ ამოვარდნილი არ არის და თუ ამოვარდა ქარი, უმეტესად დღე რომ შუადღეს მოატანს, ვერც ერთი უმძლავრესი, ლონიერი კაცი ვერ შეიმაგრებს თავსა ამ გზაზედ და უსათუოდ ქარიშხალი მოიტაცებს ხოლმე, თუნდაც რომ მგზავრი მაგრათ იყოს მიკრული კლდის წვეროს. ამ მიზეზით ზამთარში ძალიან იშვიათათ გაჰბედავს ვინმე ან აქედამ სვანეთისაკენ გარდასვლას, ან იქიდგან გარდმოსვლას, და ამიტომაც მთელი რვა თვე სვანეთში ხორციელ ადამიანს მისვლა და გადმოსვლა არ შეუძლიან. ყოველს წელიწადს, ყოველს ზამთარს ილუპება მგზავრი ამ გზაზედ და უკვალოთ იკარგება. ეს გზა ბევრს მსხვერპლსა ჰყლაპავს ყოველს ზამთარს და ზაფხულშიაც იცის ამ ბილიკამ მსხვერპლის მოძებნა. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ „თავისუფალი სვანეთი“ არის მიუკარებელი ქვეყანა, დაკეტილი ქვეყანა. ჩვენ ამ ლათფარზედ მკათათვის უკანასკნელ დღეებში ვიყავით, და მაშასადამე, არავითარი შიში არ უნდა გვქონოდა, მაგრამ შემკრთალი კი ვიყავით. ლათფარსედ ავედით მდინარე ცხენი-წყლის ხეობიდამ. ბუნება თან და თან სულ ტიტვლდება, ეკლებიანია. ეკლებით შემოსილის მცენარეების, მთის კალთებში და გვერდოებში მომწვანო არყის ხეა და ჩიგვნარი. ეს მცენარე მერმედ უფრო თხლათ არის. ბალახებსა და მდელოებს შემდეგ, მოჩანან სხვა და სხვა ნაირი ხავსი და გინგლი; მერე ხამი ველური კლდიანი ადგილები, ასპიტის კლდეები, ზოგან და ზოგან მუდამ თოვლით შემოსილი და დაფარული. აი ეს შეხედულება აქვს ამ ლათფარსა იმ ბილიკა გზიდამ, რომლითაც მგზავრს ამ მთაზედ აცოცვა შეუძლიან. სულ მაღლა რომ ავედით, აღარა სწვიმდა, გადაღებული იყო, და ცა მოწმენდილი, და ჩვენ ცოტათი შევჩერდით, ჩვენი დაშლილი ძარღვებისა და სახსრების გასამაგრებლად, და მშრალს ალაგას, თოვლის გვერდით დავსხედით. ამ გარდასავლიდამ ჩვენ წარმოგვიდგა შემდეგი სურათი. მთის ძირში, ძალიან შორს, თეთრად მოჩანან, ამ ამწვანებულს ბუნებაში, ჯგუფ-ჯგუფათ, ოთხმოც ალაგასა, სვანების შენობები, და მაგათ შუა გველივით დაკლაკნილი მდინარე ცხენის წყალი, დიდის ქუხილით მიმდინარე, თავის მრავალის ტყიანის ხეობებით. მარცხნივ, ჩვენგანა, მოჩანს კავკასიის გმირი, მთა „იალბუზი“, მაგრამ თეთრ-ქუდა კი არა, როგორათაც მოჩანს ეს მთა ჩრდილოეთიდამ, არამედ სამი, წვეტიანი, კლდიან, უთოვლო სერებათ მოჩანს. მარჯვნივ—მოჩანს უმთავრესის კავკასიის მთების შტო, ტანოვანი მთის გრძელი ზურგი, ასეთის თეთრის თოვლით დაფარული, რომ თვალი ვერ გაუძლებს. ჩვენს პირდაპირა კი სჩანს, მთის ძირში, ტყიან ბუნებაში მიხვეულ—მოხვეული მდინარე „ჭალაი“, რომლის ნაპირზედ აქა-იქ სჩანან სვანების სოფლები.

მთა ლათფარი არის მოშავო ასპიტი და აქა-იქ თაგვ-მარილის ქვის სქელ-სქელი ნაჭრები აქვს ჩამჯდარი, რომელიც თეთრს მარმარილოსა ჰგავს

ამ მთიდამ ჩვენ, თავისუფალ-სვანეთში დავეშვით; ეს დალმართი უფრო დაქანებულია, ვიდრე სადადიაონო-სვანეთისაკენ, და მაშასადამე სოფელს „ჭოლურის“ გზაზედ უფრო მოკლეა. მაგრამ, ეს დალმართი, საშინელი გასაჭირია მგზავრისათვის, თავისუფალ-სვანეთიდამ მომავლისათვის, სოფელ „კალა“-დამ, რომელიც ლათფარის მთის ძირში მდებარებს. ამ თავდალმართიდამ, თავისუფალ-სვანეთს შემდეგი შეხედულობა აქვს. პირდაპირ სჩანს დიდი წვეტიანი მთა, სახელდობრ „ჟუბა“, „ადიშბა“ ანუ „ბეჭოს“ მთა. ეს მთა ნახევრამდის მუდამ თოვლით არის დაფარული და ეს მთა თავისუფალ-სვანეთის წყლებსა ჰყოფს: „ენგურს“, „მულხრეს“ და სხვა მრავალ მდინარებს, რომელთაც სვანები ეძახიან „ჭალაი“, ე. ი. სვანურათა ნიშნავს „მდინარე“. ამ მთის ორივე მხოებზედა სჩანს თეთრი ზოლი უმთავრესი კავკასიის მთებისა; მაჯვნივ მოჩანს ხეობა, რომელსაც ცოტა მოშორებით დაჰყურებს დიდ. კლდიანი მთა, სახელდობრ „ჩათხარე“; და ძირს, დაბლა, ვითამც ხელის-გულზედ სჩანან თეთრად და ჯგუფ-ჯგუფათ სვანების სოფლები: „კალას“, „უშკულის“ და „იფარის“ საზოგადოებისა, მდინარე ენგურის წყლის-პირზედ. ამ სოფლებს დაჰყურებს სახნავი მიწები და სათივეები; მერმედ მუდამი მწვანე არყის ტყე; მაგათ ზევით სხვა და სხვა მთის ბალახები, მშვენიერის მწვანე ფერის ჭყორითა და იელითა, და კიდევ ზევით მუდამ თოვლი; და ამ ამ არე-მარეს აფარია მშვენიერი წმინდა ცის ფერი ზეცა. ეს სურათი ღირსია, რომ მხატვარმა ქალადზედ გადაიღოს. ახლა ამ მშვენიერ სურათს დავუმატოთ, რომ, როდესაც ჩვენ სოფელ „კალას“ თავდალმართში დავეშვით—ამ მშვენიერ თავისუფალ-სვანეთის ქვეყანაში თვალს იმოდენა ტურფა სამკაული ბუნებისა დახვდა რალაც და ყურს საოცარი ხმაურობა იმავე ბუნებისა ისეთის თვისებისა, ისეთი სასიამოვნო და სამხიარულო სმენისათვის რომ უნებურად ვსთქვი—ეჰ აქ ყოფილა ბედნიერება მეთქი, რომელიც ყოველთვის თან სდევს წმინდასა და ჭეშ-მარიტს თავისუფლობას!

იმ საღამოს ჩვენ ლათფარის მთიდამ ჩავედით სოფ. „კალას“, რომელიც სილარიბით მთელს სვანეთის სოფლებში გამორჩეულია და რომელიც მდებარებს მთის კალთაზედ ლათფარის პირდაპირ, გიჟი მდინარეს „ჭალაის“ მარჯვენა ნაპირზედ. მე ძალიან გამიკვირდა როცა შევიტყე რა ღონისძიებას ჰხმარობენ თურმე კალალები ამ მდინარეს გალმიდამ გადმოსვლისათვის. გალმიდამ ამ მდინარეზედ არის გადებული გრძელი ხის ხიდი, ასე რომ ერთის ადლის სიგანისა, ის ხიდი კიბესავით არის გაკეთებული, საფეხურის მაგიერ სოლები აქვს გაყრილი და ამ სოლსა და სოლს შუა გაფიჩხული წნელია. გალმა კალას წყლის ნაპირი გამოღმაზედ მაღალია, ასე, ოთხს არშინზედ. ჩვენ თითო თითოთ გავვატარეს ამ გადმოდებულს ხიდზედ; და ყოველი ჩვენგანი, გადიოდა დიდის სიფრთხილით. თურმე ჩვენი ცხენებიც აკი ამავე ხიდზედ გადაატარეს, მაგრამ ეტყობოდა ცხენებს, რომ ამ გვარი ხიდები ბევრი უნახამთ და შეჩვეულიან კიდევაც. მერმედ, როდესაც ჩვენ სულ გაგვიყვანეს, ეს ხიდი ნაპირზედ აათრიეს და ამითი მოსპეს ყოველი ღონისძიება და ხერხი ამ მდინარეზედ გადასვლისათვის ლაფარის ნაპირიდამ. ამ სოფელში, ჩვენ ერთს კალოზედ, საბძლის გვერდით დავბინავდით და რადგანაც ჩვენ საწოლისათვის ვერაფერი ვერ მოვახერხეთ, ერთმა სვანმა თითო-თითო კვერი მოგვიტანა და იმაზედ დავწექით; ბნელი და ნოტიო ღამე, მდინარის ქუხილი და ხმაურობა და ყაყანი სვანებისა, რომელნიც ჩვენ გარს შემოგვიჯდნენ, მთელი ღამე მოსვენებას არ გვაძლევდნენ, გზისაგან დატანჯულებს. ეს სოფელი ძალიან ვიწროთ არის აშენებული; სახლები ერთი-ერთმანეთს ეკვრის; ყოველი შენობა სულ ქვისაა, სხვა და სხვა გალავნებითა, ღობეებით და ერდოებით და ისე ახლო-მახლოს არიან ერთად, რომ მთელი სოფელი ვითამ ერთს, დიდს უშველებელს შენობას წარმოადგენს, თავისი მრავალის მიხვეულ-მოხვეულ და დაკლანილ შესავალ-გასავალითა, დიდს ლაბირინთოსა ჰგავს და აქ ოცდა ათ კომლ კაცზე მეტი ცხოვრობს.

მეორე დღეს, დილა ადრიანად ვაპირებდით წასვლას, რომ თავის დროზედ შეგვძლებიყო სოფელს „ბეშოს“ მისვლა, სადაც სვანეთის პრისტავის ბინა არის და სადაც 1871 წლიდამ დგას ერთი რუსის როტა სალდათი, სვანებისა გასაფრთხილებლად და მათის ქვეყნის დაცვისათვის. მაგრამ, ჩვენი ცხენები ღამით რომ საძოვრად იყვნენ გარეკილი, სადაც გადაკარგულიყვნენ და როდესაც, ბევრი ძებნის შემდეგ, მოგვიყვანეს ცხენები, შუა დღე კარგა ხანი გადაცილებული იყო. ამიტომაც ჩვენ მხოლოდ დიდს სოფელს „მესტიას“ მისვლა შევიძელით ღამით დასადგომად, სადაც იქაურმა მართლ-მადიდებელმა მღვდელმა დიდის პატივისცემით მიგვიღო-თავის სახლში. საკვირველი გარეგანი შეხედულო-

ბა აქვს ამ სოფელს „მესტიას.“ მდინარე „მულხრეს“ დიდს ქალაზედა მდებარებს ეს სოფელი, მდინარესა და დიდს მთებს შუა. სუყველა შენობა სდგას მთის ძირში, ირგვლივ, ერთ გაუწყვეტელს რიგზედ, და ამ შენობების რიგის პირდაპირ, კარგა განზედ. მდინარესაკენ, ისევ ირგვლივ მიდის მეორე რიგი შენობებისა. ასე, რომ ამ შენობებს შუა, გამოვიდა დიდი ყაბახი მოედანი, როგორიც, ვსთქვათ, ქალაქს თბილისში ერევნის მოედანია. ორ-სართულიანი ქვის სახლები, თავის ხუთ-ხუთ სართულიან კოშკებით და მაღალი ქვის სახლებით, თავ-თავის ალაყაფის კარებებით, სწორედ ქალაქს მიამგზავსებს ამ სოფელსა. ყოველი შენობა, სახლი, კოშკი, გალავანი და ღობეები, სულ კირით არის გათეთრებული, თუმცა შეხედულობა ქალაქისა აქვს, მაგრამ მოძრაობა, ცხოვრება, ე. ი. სიცოცხლე სრულებით არ ეტყობა „მესტიას“. სახლები და კოშკები თითქმის უფანჯრო არიან, აქა იქ კი არის რაღაც ნაირი ნახვრეტები და სხვა სანათურები არა ჰქონიათ რა. ჩვენის მასპინძლის მღვდლის ხის სახლი ორ სართულიანია, და ამ მესტიის ყაბახის ერთს კუთხეში დგას, წყლის პირისაკენ. ამ სახლის წინ პატარა ბაღჩა არის გამართული, რომლიდამაც სჩანს მთელი მესტია, თავისის ყოველნაირის და ყოველგვარის შენობებითა. ჩვენს მისვლამდინ, ამ სოფელში მოვიდნენ იქაური მონასტრის ერთი და უკანასკნელი ბერი, და სვანეთის თავადი, სოფელ შოლურიდამ, თენგიზ გარდაფხაძე, რომელიც ჩვენ თვითან მოვიწვიეთ აქა, რომ ჩვენი მთავრობისაგან მონდობილ საქმეში შემწეობა გაეწია; რადგანაც ამ თავადსა დიდი ხმა აქვს სვანეთში და ზედ მოქმედებაც. რადგანაც ჩვენი საქმე ეჭვზედ დაფუძნებული იყო, ამიტომაც ვერსად ვერ მოიპოვა ღირსეული ყურადღება ხალხისაგან ამ ქვეყანაში; ამ მიზეზითაც გარდაფხაძემ, თავისი უკმაყოფილება და გაკვირვება არ დაგვიმალა, რომ ჩვენ იმისაგან რასმეს თანა-დგომას და თანა-შემწეობას მოველოდით და დაიმედებულიც ვიყავით. ამ თავადმა როგორც რომ ჩვენს საქმეს, აგრეთვე მეც ისე კი არ მომეკიდა, როგორც მთავრობისაგან გაგზავნილს და მინდობილს კაცს, არამედ ისე, როგორც ბატონი თავის ნაყმევს, რადგანაც ჩემის გვარისა ბევრი ყოფილა სვანეთში და უწინ ამ თავადის აზნაურებათ ირიცხებოდნენ. მაგრამ, როდესაც მე აუხსენი, რომ ჩვენ იგი მოვიწვიეთ, როგორც კაცი, რომელსაც სვანები დიდს პატივსა ჰცემენ და რომელსაც ამ ხალხზე დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება აქვს, და ამიტომაც იმედი გვქონდა რომ ჩვენ ხელი მოგვიმართოს—ცოტათი დატკბა ჩვენი თავადი. მაგრამ ეს მისი დატკბობა და ჩვენს საქმეში ხელის-მომართვა ძალიან შორი-შორს იყვნენ. ამ მიზეზით, როდესაც მე, სვანეთის პრისტავს მივმართე, თავადმა თენგიზმა, უხუმრად და ცოტა ხუმრობითაც, გვანიშნა ჩვენ რომ პრისტავს ეგ არაფრად აგდებდა. უწინა, ამბობდა თავადი, და ეხლაც ყოველს სვანს, თავ-თავის საკუთარი პრისტავი ჰყავთ, რომელიც უფრო მალე, უფრო სწრაფათ, უფრო ბეჯითათ და უფრო გარკვევით და ჭკიანათ ახერხებენ საქმეს და ზედ მოქმედობენ მასზედ, ვისიც დაჯერება და მორჯულება დასჭირდებათ;—და ამ ლაპარაკის დროს თავადმა, თითით, თავისი თოფის ლულა გვანიშნა. რასაკვირველია, ამის შემდეგ, ჩვენ უნდა გავჩუმებულვიყავით, და მოგვესპო ლაპარაკი საქმის თაობაზედ. მაგრამ ამით მაინც მეგობრობა ერთმანეთში არ დაგვარღვევია. მას ახლდა დიდი ამალა, აზნაურთა და გლეხთა, სულ თავიდამ ფეხამდის შეიარაღებული.

კოტე სანინელი.

(შემდეგი იქნება)

გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები.

— არტაანიდამ ტყვეთ მოყვანილი ალი-ფაშა ქ. ორიოლს დაუყენებიათ. იქაური გაზეთი „Орловскій Вѣстникъ“ ამბობს, რომ ეს ფაშა საშინლად დასუსტებული და ძალიან დაბერებული კაციაო, ცოტა ყრუც არისო. შინიდამ გარეთ არ გამოდისო და დიდ გულგრილობას იჩენსო.

— ქ. პეტროსავოდსკიდამ (ოლონეცის გუბერნიაში, რუსეთის ჩრდილოეთის მხარეს) გაზეთს „Сѣверный Вѣстникъ“-ს ჰსწერენ—აქ ოფიციალური დეპეშა მოვიდაო, რომ ორასი კომლი ჩერქეზი ოლონეცის გუბერნიაში უნდა გადმოსახლდესო. ამბობენ, რომ ეს ის ჩერქეზები არიან, რომელთა თაოსნობით ამას წინად კავკასიაში არეულობა მოხდაო. გადმოსახლებულებს მთავრობისგან ცოტა შემწეობა მიეცემათო. ჩერქეზების ოლონეცის გუბერნიაში გარდასახლება ახალი ამბავი არ არისო. რამდენიმე წლის წინადაც გადაასახლესო. შესანიშნავია, რომ აქაურს ცივს და სასტიკს ბუნებას ბევრი მათგანი ვერ იტანსო.

— შოტლანდიაში მდ. გაუზე ხიდს აშენებენ, რომელსაც სიგძით არ შაედრება არა ხიდი მთელს ქვეყნიერობაზედ. მას სიგძე აქვს სამს ვერსტამდე,

— ინგლისისა და საფრანგეთის შორის ხიდის გაკეთებას აპირებენ თურმე. აბა ეს ხიდი იქნება გრძელი,— რადგანაც ამ ორ ქვეყანათა შუა 30 ვერსტია.

— პეტერბურგის მიხაილოვის „მანეჟში“ ფრანციელ დეკანსტონს გამოუფენია ერთი დიდი უშველებელი რუკა (ქარტა) საომარის ადგილებისა. სივრცე ამ რუკასი ას ოთხმოცი ოთხ-კუთხიანი არშინია. იგი მანეჟს შუაა გაშლილი და გარს შემორტყმულია მუაჯირი, რომელთაც მიდგმული აქვთ კიბეები. ამ რუკაზედ გამოყვანილია მთელი მდინარება დუნაიისა, შავი ზღვა თავისის შემავალის წყლებით და ნაწილი მცირე აზიისა. რუკაზედ დანიშნულია ქალაქები ოთხასამდე. როგორც თვით რუკა, აგრეთვე ქალაქები სულ ალებასტრისაა. ჩვენისა და ოსმალოს ჯარის მიმოსვლა საკმაოდ კარგად არის ნაჩვენები: აქ გამოყვანილია კარვები, ქვეითა-ჯარი, ცხენოსანი და არტილლერია თავისის ზარბაზნებით, სნეულთათვის ფურგონები, საბარგულეები და რკინის გზები თავისის მატარებლებითა და ორთქ-მავალათი. ყოველ დილით, რა კი ტელეგრამმები მოვა ხოლმე, ჯარებს ისე დააყენებენ ხოლმე, როგორც ტელეგრამმაშია მოხსენებული. ყოველივე სამკაული ამა რუკასი გაკეთებულია პარიჟში კალისა და თუნუგისაგან. ყარსის ახლო-მახლო ცხენოსანის ჯარის თარეშობა ძალიან კარგად არის გამოყვანილი. ზღვა ლაჟვარდის სალეჩაქისაგან არის გაკეთებული, აქა იქ ოსმალოების ხომალდებია ზღვაზედ გამოხატულნი. მთელი რუკა თექვსმეტ ათასს ფუთს იწონს.

ტიპოგრაფიული ცთომილებანი, რომელნიც იპოვებიან ეტნოგრაფიულის განხილვაში „ძველთა და ახალთა გაპადოკიისა ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“.

„ივერია“ № 14. გვერდი 9, პირველი სვეტი.

დაბეჭდილია — ასე უნდა იყოს.

ლისის მდინარისა, — — ალისის (ჭალისის) მდინარისა.

ანა-ლაზონისა — — — აწ ალაზონის მდინარისა.

მეორე სვეტი.

14 ტრიქ. მდინარე ხალისისა მდინარე ალისისა.

15 — რწყამდნენ— — რწყავდნენ

26 — აწ ვიშერი, — კიშერი.

31 — მელიტონე — მელიტინე.

34 — მელიტონე, — მელიტინე.

გვერდი 9. პირველი სვეტი

ტრიქ. 31, არარატ II — არიარატ II.

გვერდი 10, პირ. სვეტი

ტრიქ. 32 თამარმე, — — თამარძე.

მეორე სვეტი.

ტრიქ. 1. აცმურის მთა, — ყამურის მთა.

— 2 გაცურის მთა — გყაურის მთა.

№ 16 მერვე გვერ. 1 სვეტი.

ტრიქ. 6. ცნობისა — — ცნობილისა.

— 7. 200 — — — 400.

მეორე სვეტი.

ტრიქონი 11 ზეჩი, — — ზუჩი.

გვერდი 9, სვეტი 1.

ტრიქ. 6. კერასეუნს — — კერასუნს.

გვერდი 10, სვეტი 1.

ტრიქ. 4. სომხებს სარწმუნოება, სომხების სარწმუნოება,

ტრიქონი 18. 31 — — 13.

პირველი შენიშ. ებინი — ემინი.

სვეტი 2.

სტრ. 5 პალიმე, — — — ჭალიმე (ჭალიმე),

გვერდი 11. სვეტი 1.

ტრიქ. 1 ტანად. — — — ტიანად.

— 4 ტანად, — — — ტიანად

№ 17 გვერდი 10. სვეტი 1.

ტრიქ. 10. გასტკაში, — — ხასტიკაში

გვერდი 11.

ტრიქ. 27 თქვა, — — — თქვან.

— 28 ჭუმ, — — -- ჭაია, ან ჭიმ.

— — ჭემიში — — ჭემუში

— 29 ჭიმუშა -- — ჭემუშა.

სვეტი 2.

ტრიქ. 13. ვჭსწერეთ, ჭსწერეთ, ვჭსწერენ, ჭსწერთ, ჭსწერენ

— 17 8 ვჭარემ — — 2 ვჭარუმ.

— 25 ჭარემტთ, — — ჭარუმტთ

— 25 ვირე — — — ვორე

გვერდი 12.

ტრიქ. 5 ოში — — — — ეჩი.

— 6 ოში, — — — ეჩი

— 11 გურიასა — — — გურიისა

— 11 აწინდელს — — აწინდელს

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Іюля 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.